

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ცენტრალური აპარატის 2019 წლის ასიგნების ფარგლებში, სარეზერვო სერვერული ოთახის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

2019 წლის 7 თებერვალი

ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე: გ. წონკოლაური.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ი. ბიბილაშვილი.

კომისიის წევრები: ნ. ქინქლაძე, გ. კაკუშაძე, ი. აბრამიშვილი, ი. ქიტიაშვილი.

კომისიის აპარატის წევრი: ლ. სარია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ცენტრალური აპარატის 2019 წლის ასიგნების ფარგლებში, სარეზერვო სერვერული ოთახის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის წევრების მიერ აღინიშნა, რომ ცენტრალური აპარატის 2019 წლის ასიგნების ფარგლებში, სამინისტროს სერვერული ცენტრის მოდერნიზაციისა და სარეზერვო სერვერული ცენტრის შექმნის მიზნით საჭიროა სამინისტროს მიერ გამოყოფილ ფართს ჩაუტარდეს სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები.

სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ შედგენილი იქნა დეფექტური აქტი შესასრულებელი სამუშაოების მითითებით, რის შემდეგაც საქართველოს პრემიერ მინისტრის 2014 წლის 14 იანვრის #52 და #55 დადგენილებების საფუძველზე და სამშენებლო ნორმებზე, მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოცემული სამშენებლო რესურსების ფასებზე, 2018 წლის მე-4 კვარტლის დონეზე, მეთოდური ცნობარსა (მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ფასების გაანგარიშების შესახებ, 2017 წ.) და საბაზრო ფასებზე დაყრდნობით მომზადდა ხარჯთაღრიცხვა. და დადგინდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, რომელიც შეადგენს 8455 ლარს.

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ცენტრალური აპარატის 2019 წლის ასიგნების ფარგლებში, სარეზერვო სერვერული ოთახის სარემონტო-სამონტაჟო

სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის შესახებ განცხადების ტექსტი, სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო ვადები.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ცენტრალური აპარატის 2019 წლის ასიგნების ფარგლებში, სარემზერვო სერვერული ოთახის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის შესახებ განცხადების ტექსტი, სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო ვადები.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს:
დადგენილი წესით განათავსოს სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (www.procurement.gov.ge).

კომისიის თავმჯდომარე:

გ. ნოწკოლაური

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ი. ბიბილაშვილი

კომისიის წევრები:

ნ. ქინქლაძე

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

ი. ქიტიაშვილი

ოქმი გააფორმა:

ლ. სარია